დუშეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №3

ქ. დუშეთი 21 ივნისი 2011 წელი

15:00 სთ.

კომისიის თავმჯდომარე:

ცარო საძაგლიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

ნინო თუჯიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კომისიის მდივანი;

ზურაბ ოტიაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ისაკ კარიაული - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ნიკო დუდაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

შალვა ინაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

ლაშა შარაშიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ჯიმი ჭელიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

კომისიის აპარატი:

დალი ნამგალაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ნატრაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა ნინო თუჯიშვილი, საპატიო მიზეზით.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N88-ე კონკურსში - ქალაქ დუშეთში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა - წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა - შეფასება.

/ც. საძაგლიშვილი/

მოისმინეს:

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გუშინდელ სხდომაზე მოხდა საკონკურსო წინადადების მხოლოდ გარეგნული დათვალიერება და გაიხსნა შპს „სინათლე-2006-ის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N88-ე კონკურსზე - ქალაქ დუშეთში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა, - საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს - 3000 (სამიათასი) ლარს და სთხოვა კომისიის წევრებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრება საკონკურსო წინადადების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ჯიმი ჭელიძემ - მან აღნიშნა, რომ საკონკურსო წინადადების შესასწავლად საჭიროდ მიაჩნია რომ დეტალურად მოისმინონ კონკურსანტის განმარტებები წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შესახებ და კარგი იქნებოდა სპეციალისტის მოსაზრებების მოსმენაც, რისთვისაც საჭიოდ თვლის გამარჯებულის შეფასება მოხდეს რამდენიმე დღეში.

მის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

დაადგინეს:

1. მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N88-ე კონკურსში - დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება - გამარჯვებულის გამოვლენა მოხდეს 2011 წლის 24 ივნისს 15 საათზე.
2. კონკურსის შედეგების შესახებ საკონკურსო კომისიის ოქმი N3 აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე;

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

/ც. საძაგლიშვილი/

/ზ. ოტიაშვილი/

/ჯ. ჭელიძე/

/ი. კარიაული/

/შ. ინაშვილი/

/ლ. შარაშიძე/

/ნ. დუდაური/